

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

*ხელნაწერის უფლებით*

ლ ა შ ა ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე

დიპლომატიური დისკურსის ლინგვოკულტურული  
სპეციფიკა  
(იაპონური და ქართული დიპლომატიური დისკურსის  
მიხედვით)

სპეციალობა - ფილოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაციის

ავტორეფერატი

ბათუმი

2024

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი**

მარინე აროშიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი

**უცხოელი შემფასებელი**

.....

.....

.....

**შემფასებლები**

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

დისერტაციის დაცვა შედგება ..... , ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, პირველი კორპუსი, მეორე სართული, აუდიტორია 37.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკასა და ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი მაია კიკვაძე

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

მეოცე საუკუნის დასასრულს, როდესაც საქართველომ მოიპოვა ნანატრი თავისუფლება, პირველ რიგში შეიცვალა საგარეო პოლიტიკა და გაიზარდა საქართველოს უშუალო კონტაქტები არამარტო ევროპის, არამედ აზიის ქვეყნებთან. საერთაშორისო გლობალიზაციის პირობებში ძალიან მწვავედ დადგა საკითხი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული საქმიანობისთვის საქართველოს ესაჭიროება კონკურენტუნარიანი, მაღალპროფესიული, პოლილინგვალური თაობის გაზრდა. ნებისმიერი საქმიანი ურთიერთობა იწყება ენისა და კულტურის ათვისებით. საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციამ გამოიწვია ენობრივი სიტუაციის შეცვლა. საქართველოს ევროპულ სივრცეში მისწრაფებამ განაპირობა ინგლისური ენის გაბატონება, მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქმიანი კავშირების დამყარება მოითხოვს აღმოსავლეთის ენებისა და კულტურების შესწავლას (იაპონური, ჩინური, კორეული და სხვ.).

აღმოსავლეთი და დასავლეთი უძველესი დროიდან უპირისპირდებოდა ერთმანეთს: განსხვავებული კულტურა, წეს-ჩვეულებები, სხვანაირი ხედვა, ქცევა, ეროვნული მენტალიტეტი. ხშირად ვკითხულობთ მედია-ტექსტებში, რომ დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებს ახასიათებს „გონების კულტურა“, აღმოსავლეთის წარმომადგენლებს კი - „ემოციების“. აქედან გამომდინარეობს ის განსაკუთრებული სიმწიფეები, რომლებიც აღმოსავლური კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაციას ახლავს.

საქართველოს პერსპექტიული განვითარება არა მხოლოდ ევროპასთან, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც არის დაკავშირებული. გარკვეულ წილად ეს განპირობებულია საქართველოს უნიკალური გეო-პოლიტიკური მდებარეობით, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა განლაგებულია ამ ორი სამყაროს შორის. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა ეგრეთ წოდებული ცნობილი „აბრეშუმის დიდი გზა“, რომელიც ევროპასა და აღმოსავლეთს აერთიანებდა და ხელი შეუწყო ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობის განვითარებას აღმოსავლეთისა და

დასავლეთის ქვეყნებს შორის. გასაკვირი არ არის, რომ ლოგისტიკა XXI საუკუნეში ცდილობს ხელახლა შექმნას ასეთი წარმატებული ალიანსი ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან. თანამშრომლობა და დიპლომატიური ურთიერთობები მოითხოვენ ენებისა და კულტურების შესწავლას.

ამ საჭიროების გაცნობიერება საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ზრდაში ჩანს. უკვე აქტიურად მიმდინარეობს აზიური ენების და მისი კულტურის შესწავლა მაგალითად ჩინური, თურქული, იაპონური, კორეული ენებისა და კულტურების შესწავლა (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში), მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა აზიური ენებისგან შედარებით იაპონური ენა არის ახალი და შესაბამისად იაპონური ენისა და კულტურის მცოდნე სპეციალისტების დეფიციტია. გვყავს საკმაოდ პროფესიონალი კადრები თუმცა მცირე. ამიტომ ქართულ-იაპონური შეპირისპირებითი კვლევებს დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ფართო მნიშვნელობით ამას მიეკუთვნება სხვადასხვა მიმართულების კვლევები: იაპონური ენის შესასწავლი პრაქტიკული კურსები ქართულენოვან აუდიტორიისთვის, იაპონური და ქართული ენობრივი სისტემების შეპირისპირება, მხატვრული ლიტერატურის თარგმნა, ქართული და იაპონური საქმიანი საბუთების შედარება, პროფესიული დისკურსის შესწავლა, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დიპლომატიურ დისკურსს უკავია.

ყველაფერი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ჩვენი სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა, რომლის მიზანია - დიპლომატიური დისკურსის ენობრივი, კულტურული თავისებურების შესწავლა (იაპონური და ქართულ ენების მასალაზე), რაც ქართულ პროფესიულ სივრცეში, უდავოდ, **სიახლეს წარმოადგენს**.

თარგმნის ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებანი და ეფექტური მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები ინტენსიურად ისწავლება თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში, მაგრამ, იაპონურ-ქართული და ქართულ-იაპონური თარგმანმცოდნეობის სფეროში ძალიან მცირეა მასალა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კვლევა საშუალებას მოგვცემს დავაზუსტოთ და გავაღრმავოთ ლინგვოკულტურული

სპეციფიკის მრავალფეროვანი პალიტრა და საინტერესო მთარგმნელობითი გამოცდილების მომტანი იქნება.

ამ მზნის მისაღწევად კვლევის პროცესში ჩვენ გვკონდა დასახული შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- 1) დისკურსის განმარტებებისა და არსებული კლასიფიკაციების მიმოხილვა;
- 2) დიპლომატიური დისკურსის დახასიათება ენობრივ და პრაგმატულ ასპექტში;
- 3) იაპონური დიპლომატიური დისკურსის ლინგვოკულტურული თავისებურებანი;
- 4) ქართული და იაპონური დიპლომატიური დისკურსის თარგმნის პრობლემების ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდებარეობს მთელი რიგი ცნებების დაზუსტებაში და დახვეწაში (დისკურსი, დიპლომატიური დისკურსი, კულტურული დიპლომატია, მთარგმნელობითი სტრატეგია და სხვ.), ნაშრომში განხილულია ნაკლებად შესწავლილი ქართულ-იაპონური დისკურსის თარგმნის ლინგვოკულტურული პრობლემები.

**პრაქტიკული მნიშვნელობა:** ჩატარებული კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა უდავოა, ვინაიდან ნაშრომში გაანალიზებული მასალა და დასკვნები წარმოადგენენ დიდ ინტერესს ლინგვისტებისთვის, მთარგმნელებისთვის, პროფესიული დიპლომატიური კადრების მომზადებისთვის. მათი გამოყენება შეიძლება მთელი რიგი დისციპლინების პრაქტიკული მეცადინეობებზე (სოციოლინგვისტიკა, ზოგადი თარგმანის თეორია და პრაქტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სხვ). ქართული და იაპონური დისკურსის შესწავლა ხელს შეუწყობს პროფესიული კადრების მომზადებას, ასევე სარგებლობას მოუტანს პრაქტიკოს მთარგმნელებს დიპლომატიური დისკურსის თარგმნის განხორციელებაში.

ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კომპლექსური მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურობას და მიღებული დასკვნების სანდოობას, კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები და ხერხები: ლინგვისტური დაკვირვებისა და აღწერის მეთოდი, შედარებით-ტიპოლოგიური

კვლევის მეთოდის ძირითადი ხერხები (შეპირისპირებითი ანალიზი), ინტერპრეტაციისა და განზოგადების მეთოდი, ენათშორისი ეკვივალენტობის დადგენის მეთოდი და დისკურს ანალიზი.

კვლევის მიზანმა და ამოცანებმა განაპირობა მისი შემდეგნაირი სტრუქტურა: სადოქტორო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. პირველ თავში განხილულია დიპლომატიური დისკურსი ინტერდისციპლინარულ ჭრილში; მეორე თავი ეძღვნება ქართული და იაპონური დისკურსის ლინგვოკულტურული თავისებურებების დახასიათებას; მესამე თავში გაანალიზებულია იაპონურ-ქართული თარგმანის თავისებურებანი. აგრეთვე დანართის სახით წარმოდგენილია კვლევის ემპირიული მასალა: დიპლომატიური ურთიერთობების საბუთები, იაპონური საელჩოს ოფიციალური მიმოწერა, განხორციელებული ზეპირი თარგმნის მასალები.

### ნაშრომის ძირითადი შინაარსი

#### თავი I. დიპლომატიური დისკურსი ინტერდისციპლინარულ ჭრილში

ნაშრომის პირველი თავი სამი ქვეთავისაგან შედგება. პირველ ქვეთავში სახელწოდებით „დისკურსის ცნება ანთროპოცენტრულ პარადიგმაში“ განვიხილავთ ანთროპოცენტრული პარადიგმის განვითარებას, კვლევითი მიდგომებს, რომლებიც ფოკუსირებულა მოლაპარაკე ადამიანის შესწავლაზე. განვიხილება ლინგვისტიკის მიმართლება, რომელიც დისკურს შეისწავლის.

კომუნიკაციის თეორიის, სემიოტიკის განვითარებამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებმა ახალი ლინგვისტური პარადიგმის - ანთროპოცენტრული პარადიგმის განვითარება განაპირობეს. ანთროპოცენტრიზმის კონცეპტუალური ვარიანტი, რომელიც ეყრდნობა კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, მთლიანადაა დაკავშირებული თანამედროვე ლინგვისტიკის მსოფლმხედველურ საფუძველთან. ლინგვისტიკის განვითარებამ მიიყვანა მეცნიერები დისკურსამდე.

დისკურსის შესწავლა კვლევების უზარმაზარ სფეროს წარმოადგენს, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნისა და სპეციალობის მეცნიერები არიან დაკავებულნი. შეგვიძლია გამოვყოთ დისკურსულ კვლევებთან დაკავშირებული ჰუმანიტარულ-სოციალური მეცნიერებების შემდეგი მიმართულებები: ფილოსოფია, მეთოდოლოგია, ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, კომუნიკაციის თეორია, ფსიქოლოგია, სოციოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, სემიოტიკა და სხვ.

თანამედროვე ლინგვისტიკაში შესასწავლად ფართოდ გამოიყენება კომუნიკაციის ყველა ტიპი: დიპლომატიურ დისკურსი, პოლიტიკური დისკურსი, დიდაქტიკური, რელიგიური დისკურსი, ხელოვნების დისკურსი, პროფესიული დისკურსი და სხვ.), რომლებსაც საერთო ნიშანთვისებების გარდა კონკრეტული სპეციფიკა ახასიათებს, ამიტომაც დისკურსის შესწავლის ერთერთ საინტერესო მხარეს წარმოადგენს მისი ანალიზი მთარგმნელობით ჭრილში.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს იაპონურ-ქართული დიპლომატიური დისკურსი.

პირველი თავის მეორე ქვეთავში - “დისკურსის კლასიფიკაცია” - განვიხილავთ დისკურსის ცნების სიღრმისეული ანალიზს როგორც თეორიულ, ჟანრობრივ, ტიპობრივ, პირადულზე ორიენტირებულ, ნარისახეობრივ და ლინგვისტურ, სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და დიპლომატიურ-პოლიტიკურ კონტექსტებთან მიმართებაში.

დისკურსი იმდენად გავრცელებული ტერმინია, რომ სოციალურ სფეროში და ფილოსოფიაში გულისხმობს ცნებების, დებულებების მთელ ჯგუფს, რომლის გააზრება განაპირობებს ჩვენ ქცევას, ქმედებებს. გარკვეულ წილად, დისკურსი სამყაროს აღქმის კუთხეს აყალიბებს, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების წევრი ხედავს სამყაროს „დისკურსის პრიზმაში“.

დისკურსის ცნების გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვანია ინტერტექსტუალობა. იგი გულისხმობს, რომ ცალკეული ვერბალური თუ ვიზუალური ტექსტის მნიშვნელობები დამოკიდებულია არა მხოლოდ ამ ტექსტსა თუ ნახატზე, არამედ ამავე დისკურსში შემავალი სხვა ვიზუალური თუ ვერბალური ტექსტების მნიშვნელობებზეც.

ჩვენი ანალიზის ფოკუსში არის დიპლომატიური დისკურსი, რომელიც მიეკუთვნება ინსტიტუციონალურ დისკურსს.

პირველი თავის მესამე ქვეთავში - “დიპლომატიური დისკურსის სპეციფიკა” - ვახსენებთ, რომ საზოგადოების შთაგონების ერთერთ მნიშვნელოვანი ხერხია დიპლომატიურ-პოლიტიკური დისკურსი. ნებისმიერი წარმატებული პოლიტიკური დისკურსის განხილვისას, პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს მრავალი სახეობის ურთიერთშერევას. ამათგან ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი განუყოფელი ნაწილი დიპლომატია არის.

დიპლომატიის როლი სამყაროში, და განსაკუთრებით - საქართველოში, უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამიტომ საგარეო პოლიტიკის საკითხები ოფიციალური მედიის და ფართო საზოგადოების მასების ყურადღების ქვეშ მოექცა.

იგი რეგულირდება სპეციალური პროტოკოლით. რომელიც მოიცავს გარკვეულ ნორმებს და ქცევის წესებს. დიპლომატიური პროტოკოლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოებს შორის კარგი ურთიერთობა, რომელიც ქვემოთ მოცემულ პრინციპებს ემყარება:

- სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემა;
- თანასწორუფლებიანობა;
- ტერიტორიული მთლიანობა;
- საშინაო საქმეებში არჩარევა;

(წვდომის თარიღი - 20.05.24; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20158?publication=29>).

დიპლომატიური პროტოკოლის წესები სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია, მისი აღსრულებისათვის ყველა ქვეყნის მთავრობაში, აგრეთვე საგარეო საქმეთა უწყებებში პროტოკოლის სამსახურია შექმნილი. ამ სამსახურის წარმომადგენლებს ევალება წყარო და სამიზნეს კულტურის კარგი ცოდნა და კულტურული რეალიების ადეკვატურად გადმოცემა იაპონური და ქართული ენობრივი სისტემების შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამიტომ შემდეგ თავში ჩვენ განვიხილავთ იაპონური და ქართული დიპლომატიური დისკურსის ლინგვოკულტურულ თავისებურებებს.



## თავი II . ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობა

### ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში

ნაშრომის მეორე თავი ორი ქვეთავისაგან შედგება. ხოლო თითოეული ქვეთავი: პირველი - სამი, ხოლო მეორე - ოთხი პარაგრაფებისგან შედგება.

იაპონურ-ქართულ დიპლომატიური ურთიერთობების წყვეტილმა განვითარებამ (ოსმალური იმპერია, ცარისტული რუსეთი, საბჭოთა კავშირი) და იაპონიისა და საქართველოს შორის არსებული გეოგრაფიულმა სიშორემ და მრავალი სხვა ფაქტორმა გამოიწვია ინფორმაციის სიმცირე ორივე მხრიდან. შესაბამისად მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის მთავარი სოციო-კულტურული კომპონენტების გამოკვეთა, გაანალიზება, შედარება-შეპირისპირება, რაც ხელს შეუწყობას საქმიანი დიალოგის გამართვას.

თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველო დაინტერესებულია მაღალგანვითარებულ იაპონიასთან ურთიერთობაში, ეს კი მეტი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას მოითხოვს, რაც წარმატებული დიპლომატიური დისკურსის განვითარების აუცილებელი პირობაა.

იაპონური კულტურა აზიური კულტურის ერთერთი თავისებური სამყაროა, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორ ეტიკეტს, ქცევის კულტურას, მას ახასიათებს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე.

დიპლომატიური დისკურსის სფერო თემატურად ძალიან ფართო და მრავალფეროვანია, ჩვენ ვეცდებით ამჟამად გავაშუქოთ ორი მნიშვნელოვანი მიმართულება: ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობათა ისტორია და კულტურული დიპლომატიის ზოგიერთი სფეროები.

მეორე თავის პირველ ქვეთავში - „**ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობათა ისტორიიდან**“, რომელიც სამი პარაგრაფისგან შედგება: ქართულ-იაპონური ურთიერთობის ძველი პერიოდში, რუსეთის იმპერიის პერიოდში, თანამედროვე პერიოდში, განვმარტავთ ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიას და ავლნიშვნავთ რომ ქართულ იაპონური ურთიერთობის ისტორია ხანგრძლივი არ არის, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყანა სულიერად ყოველთვის ახლოს იყო ქართველებთან ერთად. იაპონიისა და იაპონელებისადმი პატივისცემა,

კეთილგანწყობა მრავალგზის გამოიხატება ქართულ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაში. ძველ პერიოდში გვაქვს მოცემული იაპონიისადმი ქართული მხარის ინფრომაციის დონის ფლობა.

იაპონია ქართულ წყაროებში პირველად XVIII საუკუნის პირველ მესამედში გვხვდება. ვახტანგ VI-ის (1675-1737) ნაშრომში იაპონია ჯაფანად იხსენიება.

სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) ქართულ ლექსიკონს (იმავე სიტყვის კონას) ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1756) მიერ თარგმნილ თხზულებაში მსოფლიოს პოლიტიკური გეოგრაფია,

იოანე ბაგრატიონის (1768-1830) თხზულებაში კალმასობა

ნიკო ნიკოლაძისა და სხვა გამორჩეული საზოგადო მოღვაწეები.

იაპონიასთან ომში ჩაბმული რუსეთის საიმპერიო არმიის შემადგენლობაში მრავალი ქართველი მხედარი ირიცხებოდა. მათ შორის იყო სტეფანე გიორგის ძე ახმეტელიც (1877-1922), რომელიც შემდეგ გენერლად მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში (<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000324/> - წვდომის თარიღი: 02.07.2024)

შტაბსკაპიტანი სტეფანე ახმეტელი იაპონელებთან მამაცურად მრძოლისთვის იყო დაჯილდოვებული რუსული ორდენით - წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის ჯილდოთი. ქართველი ოფიცერი იაპონელი სამხედრო ტყვეებს ძალიან ნობიერად ექცევოდა, განსაკუთრებულ ყურადღებას ბრძოლებში დაჭრილ-დასახიჩრებულთა მიმართ ავლენდა. იაპონური არმიის სარდლობამ შეიტყო ახმეტელის ღირსეული ქცევა და სათანადო პატივისცემა გამოიყინეს და როგორც ღირსეულ მოწინააღმდეგეს, რუსეთის არმიის ოფიცერს, ეროვნებით ქართველს, სტეფანე ახმეტელს ოფიციალური ჯილდოს გარდა გადაეცა ცნობილი იაპონელი ადმირალის, ცუსიმას ბრძოლის გმირის ჰეიჰაჩირო ტოგოს იაპონური მახვილი, რომელიც დღესაც ინახება დამსახურებული ექიმის, მზია ახმეტელის ოჯახში

(<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000324/> - წვდომის თარიღი: 02.07.2024).

და ამ იაპონელი ტყვეების ნაწილი რომელიც დაიღუპა ომში პატივისცემის ნიშნად და მოსაგონრად 2010 წელს ვასო გომიაშვილის სახელობის პარკში მემორიალი გაიხსნა.



სურათი: [https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ja/11\\_000001\\_00957.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ja/11_000001_00957.html) წვდომის თარიღი: 02.07.2024).

ამრიგად, XVIII საუკუნის პირველი მესამედიდან მოყოლებული, ამომავალი ძვის სამეფო და მასთან დაკავშირებული მოვლენები ყოველთვის განსაკუთრებით აინტერესებდა ქართველი საზოგადოებრიობის პროგრესულ ნაწილს, რომელიც ამ ქვეყნის მიმართ სიმპატიით იყო განწყობილი.

რუსეთის იმპერიის პერიოდი სინამდვილეში ორ ნაწილად იყოფა, ცარისტულ იმპერიის პერიოდად და შემდეგი საბჭოთა კავშირი შეიქმნა და გასაბჭოება მოხდა საქართველოსი. შესაბამისად საქართველოსი და იაპონიის ურთიერთობები რუსეთ იაპონიის ომების პერიოდებში ჩნდება, იქმნება და დღემდე მოდის ასე რომ ვთქვათ დადებითი განწყობებითა და შეფასებებით როგორც იაპონიის ისე საქართველოს მხრიდან. სწორედ რუსეთ იაპონიის ომის პერიოდში გამოავლინეს იაპონიამ და საქართველომ ერთმანეთის პატივიცემა, სულისკვეთება და გვერდში დგომა. ამ ომშიც რა თქმა უნდა უამრავი ქართველიც მონაწილეობდა. ვინაიდან საქართველოც ამ დიდი იმპერიის ნაწილი იყო.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიკოსი ჯაბა მესხიშვილი მის

სტატიაში „რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველი მეომრები (1904-1905)“ გვიზიარებს რუსეთ იაპონიის ომში ქართველების როლს და მათ ქცევებს იაპონიისა და იაპონელებისადმი (მესხიშვილი, 2017, 232).

ავტორი გვაცნობებს რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების ვითარებას, კერძოდ 1904 წლის ათ თებერვალს იაპონიის ოფიციალურმა სამსახურმა რუსეთს ომი გამოუცხადა. ძალიან ბევრი ხალხი იხვერპლა ამ ომში: მესხიშვილს მოყავს ზუსტი ციფრი - 200 000-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი დაიღუპა ამ ომში. დაახლოვებით ამდენიმე დანაკარგი რუსეთმა განიცადა. დიდი იყო მატერიალური ზარალიც. ვინაიდან ამ პერიოდში საქართველო ცარისტული რუსეთის შემადგენელი ნაწილი იყო, ქართველი ახალგაზრდებიც გაიწვიეს შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე ომში.

1905 წლის მარტში იაპონიამ რუსეთს ისეთი მარცხი მიაყენა, რომ გაზეთ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძემ „მისალმება“ გამოაქვეყნა, სადაც მეტყველებს „გაზაფხულის“ ფარული მნიშვნელობის თაობაზე. ამ ლექსში „მზე“ - იაპონიის ალეგორიაა, „ბნელეთის ქვეყანა“ კი - რუსეთის ცარისტული იმპერიაა. ავტორი აღტაცებით მიმართავს იაპონიის იმპერატორს.

იმ პერიოდში ცნობილი იყო რუსეთის საწინააღმდეგო სიმღერებიც კი. ქართველი ემიგრანტები, რომლებიც პარიზში იმყოფებოდნენ, იხსენებდნენ, რომ იმ პერიოდში ხშირად ისმოდა სატირიკული სიმღერა „პორტ-არტური - მანჯურია, რუსის საქმე წასულია!“, არანაკლებ პოპულარული აკაკი წერეთლის „გურული ნანინაც“ იყო.

ყველა ეს საინტერესო ფაქტი მოგროვებული და შესწავლილი აქვს ჯაბა მესხიშვილს ზემოდ ხსენებულ სამენიერო პუბლიკაცია (მესხიშვილი, 2018: 62). ჩვენ ვიზიარებთ ავტორის აზრს, რომ მსგავსი ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ქართველ მეომრებს არ სურდათ იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა არ წასულიყვნენ რუსეთ-იაპონიის ომში. ამიტომ ასეთი განწყობის შედეგად თბილისში ამ ომის საწინააღმდეგო საპროტესტო დემონტრაციებიც კი გაიმართა, დემონსტრანტებმა მიიღეს სპეციალური მანიფესტი და აქტიურად არიდებდნენ თავს სამხედროში წასვლას (მესხიშვილი, 20217:129).

თანამედროვე პერიოდში გადასვლა წარმატებული ნაბიჯებითა და ორ ქვეყანას

შორის ურთიერთობების სიმტკიცით არის განპირობებული. წელს 32 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც იაპონიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება 1992 წლის 3 აგვისტოს მოხდა და იმის შემდეგ კი საქართველოსა და იაპონიის შორის დიპლომატიური ურთიერთობები გრძელდება ([https://www.ge.emb-japan.go.jp/georgian/index\\_twothousandtwelve.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/georgian/index_twothousandtwelve.html) წვდომის თარიღი: 10.09.2024)

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილმა რეალობამ გამოწვევის წინაშე დააყენა საერთაშორისო აქტორები, რომლებსაც ახალ გარემოსთან ადაპტირება სურდათ — მათ შორის იყო იაპონიაც, თავისი მოუქნელი ბიუროკრატიული აპარატით. მართალია, იაპონია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ ცალკეული რეგიონული მიდგომების შემუშავებას გარკვეული დრო დასჭირდა (ბიბილაშვილი, 2022)

იაპონიისა და საქართველოსთან თანამშრომლობის გაზრდილი სურვილი მიუთითებს პოზიტიურ დინამიკაზე იაპონურ-ქართული ურთიერთობების განვითარება ეკონომიკური კრილში. რასაც მოწმობს "შეთანხმება საქართველოსა და იაპონიას შორის ინვესტიციების ლიბერალიზაციის, ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ", თანმდევი „შეთანხმებით შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“. შეთანხმებებს ხელი 2021 წლის 29 იანვარს მოეწერა. (<https://www.mofa.go.jp/files/100143488.pdf> წვდომის ტარიღი: 01.05.2023)

საქართველომ როცა ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა, გამოეყო და თავი დააღწია საბჭოთა კლანჭებს და თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო გახდა იაპონიის ფინანსური ისე მორალური, ჰუმანიტარული, და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა საქართველოსადმი გაიზარდა.

დღემდე იაპონიამ 200 მილიონი დოლარი გამოჰყო საქართველოსათვის.

([https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ka/economic\\_assistance\\_geo20180416.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ka/economic_assistance_geo20180416.html)

წვდომის თარიღი: 03.05.2024)

და ასევე საგრანტო დახმარებისათვის ჯამში 20 მილიონ აშშ დოლარზე მეტი.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_en/development\\_assistance\\_eng20180727.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_en/development_assistance_eng20180727.html)

წვდომის თარიღი: 03.05.2024)

იაპონურ-ქართული ურთიერთობების პოლიტიკური მხარე, უმეტესწილად, შემოიფარგლება იაპონიის მიერ საქართველოს სუვერენულობის და ტერიტორიული მთლიანობის ერთგულებით და საქართველოს მიერ იაპონიის ამბიციის მხარდაჭერით, რომ იგი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი გახდეს (Bibilashvili 2021, 309-321).

ნაშრომის მეორე თავის მეორე ქვეთავში „**კულტურული დიპლომატია ლინგვისტურ ჭრილში**“, რომელიც ოთხი პარაგრაფისგან შედგება: **იაპონური ხელოვნება, იაპონური სამხარეულოს ლაკუნები კულტურათმორისი კომუნიკაციაში, იაპონური ეტიკეტი, იაპონური ენა - საუბარია კულტურულ დიპლომატიაზე**, რომლის ფარგლებში ეროვნული კულტურის, სამხარეულოს, ენის, ხელოვნების პოპულარიზაციის მეშვეობით იქმნება ქვეყნის პოზიტიური სახე.

მსოფლიოში განვითარებული მოვლენების პარალელურად საქართველოში უახლესი საგარეო დიპლომატიის კვლევების მნიშვნელობა ბოლო დროს უფრო აქტუალური გახდა. გაიზარდა სახალხო დიპლომატია, რომელსაც ფართო გამოყენების სფერო აქვს. ხოლო მისი ერთ-ერთი გამორჩეული ქვედარგია კულტურული დიპლომატია. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს კულტურული დიპლომატიის კვლევებს.

კულტურული დიპლომატიის ქმედებები და სტრატეგიები ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქვეყნებისთვის. განსაკუთრებით კულტურული დიპლომატიის პრაქტიკის წყალობით, ქვეყნებს საშუალება აქვთ გაავრცელონ და გაავრცელონ თავიანთი კულტურა.

დღევანდელი ძლიერი ქვეყნები ფართოდ იყენებენ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა ენა, ლიტერატურა, მუსიკა, ფოლკლორი, სერიალები და კინოს პროდუქტები, კულინარული კულტურა და მოდა თავიანთი კულტურული დიპლომატიის მიზნების მისაღწევად.

ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს თავისი კულტურის პოპულარიზაციას, უცხოეთში ენის შესწავლას, ქვეყნის მიღწევების გავრცელებას. კულტურული

დიპლომატიის მიზანია სახელმწიფოს პოზიციის განმტკიცება,

იაპონიის მთავრობამ მოახერხა კულტურული, ფილოსოფიური და მხატვრული ტრადიციების გააქტიურება, რომლებიც ხელი შეუწყვეს ახალი დიპლომატიური ურთიერთობების დამკვიდრებას. ამ სტრატეგიამ გაამართლა და 21-ე საუკუნეში იაპონიამ მსოფლიო საზოგადოებაში მაღალგანვითარებული ქვეყნის იმიჯი შეიძინა, მძლავრი ტექნოლოგიებით და ორიგინალური ეროვნული კულტურით.

ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია ამ უზარმაზარი კულტურული პლასტის დახასიათება, ამიტომ ჩვენ შემოგთავაზებთ იაპონური კულტურის ზოგიერთი ფენომენის მოკლე დახასიათებას, როგორც არის: იაპონური ხელოვნება, კერძოდ ანიმე, მანგა, კაბუკი, იაპონური ეტიკეტი, სამზარეულოს ლაკუნები და იაპონური ენობრივი სისტემის მოკლე დახასიათება.

### **იაპონური ხელოვნება**

დიპლომატიური დისკურსი არ არის ერთგვაროვანი, ის მრავალსტრუქტურულ ცნებას წარმოადგენს და თემატურად მასში რამოდენიმე ქვე ნარატივის გამოყოფა შეიძლება. დიპლომატიური შეხვედრების ერთ ერთ მნიშვნელოვან სფეროს ხელოვნება წარმოადგენს. ამიტომ ქართველი დიპლომატი უნდა ერკვეოდეს იაპონურ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებში და პირიქით.

ნებისმიერი სახელმწიფოს კულტურა ორიგინალური და უნიკალურია თავისი არსით, მოკლედ განვიხილოთ იაპონური ხელოვნების ზოგიერთი სპეციფიკური სფერო:

*კაბუკი, ნოო, კიოგენი, ბუნრაკუ, რაკუგოს,*

ეს სახეობები შეიტანეს იუნესკოს სიაში. ეს ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას იაპონიის ისტორიისა და ეროვნული საშემსრულებლო ხელოვნებისთვის.

ასევე იაპონური კომიქსების (*მანგა*) და მულტფილმები (*ანიმე*). ანიმე და მანგა მრავალი წელია არ კარგავს აქტუალობას იაპონიაში და მთელ მსოფლიოში. მანგას ისტორია, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იაპონურ კულტურაში, უძველესი დროიდან იწყება. თავდაპირველად ესკიზებზე ჩვეულებრივი ცხოველები იყო გამოსახული, მაგრამ მე-19 საუკუნესთან უფრო ახლოს მანგამ დაიკავა ადგილი ყოველდღიურ ცხოვრებაში და შექმნა საკუთარი ბაზარი. ანიმე არის მანგას კომიქსების

ფილმის სახით ადაპტაცია.

### **იაპონური სამზარეულოს ლაკუნები კულტურათმორის კომუნიკაციაში**

ნებისმიერ ერს უყალიბდება გარე სამყაროს თავისებური აღქმა, ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის შედეგად ფორმირდება სამყაროს ენობრივი სურათი, რომელშიც მოთავსებულია ამ კულტურისთვის მნიშვნელოვანი კონცეპტები, რომლებიც გამოხატავენ ეროვნულ მენტალიტეტს (ტერ-მინასოვა 2017:62).

ყველაფერი, რაც კი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში გადატანილი აქვთ ამ ენისა და კულტურის მატარებლებს, ასე თუ ისე პოულობს გამოხატვას სამყაროს ენობრივ სურათში, რომელიც მოიცავს ამ ხალხის ცხოვრების ყველა სფეროს: ისტორიას, ხელოვნებას, მეცნიერებას, ყოფას, მათ შორის კულტურის მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენს ეროვნული სამზარეულო.

იაპონური სამზარეულო – იაპონიაში და მთელ მსოფლიოში ხელოვნების დონემდე არის აყვანილი. აღიარებულია, რომ იაპონელების ერთ-ერთი მთავარი სასაუბრო თემა ყოველთვის იყო სამზარეულო.

იაპონელებს აქვთ გამოთქმა: ”კერძი როგორც ადამიანი, საზოგადოებაში შიშველი ვერ გამოჩნდება”, ამიტომ იაპონურ კერძები განსაკუთრებულად არიან მორთილი:

*ტენპურა, უნაგი, შაბუ-შაბუ, ვასაბი, რამენ, კაისეკი, სუში* და სხვ.

ეროვნული სამზარეულო ხშირ შემთხვევაში ასრულებს ქვეყნის პოზიტიური სახის შექმნაში, ის ეროვნული იდენტობის ერთერთი ფაქტორია, ამავდროულად, ეროვნული კერძების თავისებურების ცოდნა, მათი მირთმევის ეტიკეტი კულტურათმორის კომუნიკაციის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს.

ყველაფერი ზემოდთქმული მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოსა და იაპონიას შორის წარმატებული ურთიერთობისთვის საჭიროა ისეთი დიპლომატიური კადრების ჩამოყალიბება, რომლებსაც ეცოდინებათ აღმოსავლური კულტურის თავისებურებანი, მათ შორის ეროვნული სამზარეულო და ეტიკეტი.

### **იაპონური ეტიკეტი**

იაპონური კულტურა დაფუძნებულია კაცობრიობის პატივისცემასა და ყველაფერზე, რასაც ის წარმოადგენს, და ეს ჩანს ყოველდღიურ ქმედებებში, რომლებიც იცავს



კულტურულ ტრადიციებს. იაპონელები ძალიან თავაზიანი და თავშეკავებული ხალხია. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეტიკეტის წესები

იაპონური ქცევის კოდექსი მოიცავს ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროს, რეგლამენტირებულია მისაღმების ვერბალური და არავერბალური სისტემა, საზოგადოებაში ქცევის წესები (ტრანსპორტში, სამსახურში, მაღაზიებში, ტაძრებში და სხვ.). ბიზნესი იაპონელების ცხოვრების მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს, ამიტომ დაწვრილებით არის აღწერილი ოფიციალური შეხვედრების პროტოკოლი. აგრეთვე განსაკუთრებულად არის ჩამოყალიბებული სუფრასთან ქცევის წესები, ჩაის დალევის ცერემონია.

### **იაპონური ენა**

ენა ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რადგან მისი მეშვეობით ხდება ინფორმაციის გადაცემა და მიღება.

იაპონური ენის შესწავლა ნიშნავს იაპონური კულტურის გაცნობას, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია თავისი უნიკალური ტრადიციებით, მოწინავე ტექნოლოგიებით, დაუვიწყარი ანიმეებით, უჩვეულო კერძებით და ა.შ. იაპონური ენაც უნიკალურია სხვა ენებთან შედარებით. ის წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც შედგება რამდენიმე ენობრივი ფენისგან. იაპონური დამწერლობა წარმოადგენილია რამდენიმე ანბანით: კანჯი სიმბოლოები, ორი სილაბური ანბანი (ჰირაგანა და კატაკანა), რომაჯი (ლათინური ანბანი) გამოიყენება ტრანსლიტერაციისთვის. იაპონური დამწერლობის მთავარ ნაწილად ჰირაგანა ითვლება, ჰირაგანათი იწერება ნამდვილი იაპონური სიტყვები, აგრეთვე ის ფართოდ იხმარება სიტყვების გრამატიკული დაბოლოებების დასაწერად (სიტყვა: *ჭამა* იწერება ჯერ კანჯით 食<sup>ゝ</sup>と და შემდეგ ბოლოვდება ჰირაგანათი).

კატაკანა ძირითადად გამოიყენება ნასესხები სიტყვების დასაწერად, ის ჰირაგანასთან შედარებით უფრო მარტივია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კატაკანას გამოყენების სფერო უფრო შეზღუდულია. ევროპული ენებიდან შემოსული სიტყვები (*ლუდი, ყველი, ნამცხვარი* - ビール, チーズ, ケーキ) ან ევროპული სახელები კატაკანით იწერება.

იაპონური ტექსტი იწყება გვერდის მარჯვენა მხრიდან, მოდის ვერტიკალურად

ზემოდან ქვემოთ, ამიტომ ძნელი წასაკითხია სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის. მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის წიგნები და პრესა (პოლიტიკურ თემაზე, სამედიცინო აღოჩენები და სხვ.) იბეჭდება ჰორიზონტალურ ხაზებზე და იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ, როგორც ევროპაში.

იაპონური ენის ათვისებისთვის აუცილებელია პარალელურ რეჟიმში კულტურის შესწავლა. მომავალი ქართველი დიპლომატები, რომლებსაც მოუწევთ უშუალოდ იაპონიაში მოღვაწეობა, ან საქართველოში იაპონელი დიპლომატების შეხვედრა უნდა ფლობდნენ ამომავალი მზის ქვეყნის შესახებ ფონური ინფორმაციის საკმაოდ დიდი მოცულობა. ამიტომ, ჩვენი აზრით, იაპონური კულტურის პოპულარიზაცია საქართველოში და ქართული კულტურის - იაპონიაში წარმატებული კულტურათშორისი დიალოგის აუცილებელი პირობაა.

ამავდროულად, იმპლიციტურად მოწოდებული აღმოსავლური კულტურის ფონური ინფორმაცია წარმოადგენს ადეკვატური თარგმანის სავალდებულო წყაროს, ვინაიდან ქართველი კომუნიკანტებისთვის ექსპლიციტურებას მოითხოვს. ამ პრობლემების ანალიზს ჩვენ მოგახსენებთ ნაშრომის მესამე თავში.

### **თავი III. დიპლომატიური დისკურსის თარგმნის სპეციფიკა**

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი, მესამე თავი, ოთხი ქვეთავისაგან შედგება, რომლებშიც განიხილება ოფფიციალური წერილებისა და იაპონური რეალიების თარგმნის ლინგვოკულტურული სპეციფიკა.

ენათშორისი თარგმნის შემსრულებელს ძალიან დიდი სირთულეების გადალახვა უწევს, მითუმეტეს, თუ წყარო და სამიზნე ენები და კულტურები ასე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ქართული და იაპონური.

თარგმანმცოდნეობის თეორიაში ცნობილია ლინგვოეთნიკური ბარიერის ცნება, რომელიც, ლინგვისტური და ეთნოკულტურული ნაწილებიდან შედგება. ბარიერის ლინგვისტურ ნაწილში, ლევ ლატიშევის აზრით, შედის:

- 1) წყარო ენისა და სამიზნე ენის სისტემური განსხვავებები;

2) მათი ენობრივი ნორმების სხვაობა;

3) წყარო და სამიზნე ენების სამეტყველო ნორმები, ანუ ვიზუალური განსხვავება.

ლინგვოეთნოკური ბარიერის მეორე ნაწილს წარმოადგენს ექსტრა-ლინგვისტური ინფორმაცია, რომელშიც შედის უექვივალენტო ლექსიკა, ეთნოკულტურული რეალიები, პრესედენტული სახელები, ნებისმიერი ენობრივი ხატოვანი საშუალებები, რომლებსაც კულტურული კონოტაცია გააჩნიათ.

ლინგვოეთნიკური ბარიერის გადასალახავად მთარგმნელს სჭირდება არა მხოლოდ ენის, არამედ კულტურის ღრმა ცოდნა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ გარემოებას ენიჭება დიპლომატიური დისკურსის თარგმნისას, ვინაიდან ნებისმიერი ქვეტექსტური ინფორმაციის გამოტოვება გაუგებრობებს ბადებს.

ეროვნული ენისა და კულტურის შესწავლის გარშე შუძლებელია ქვეყანათშორის ურთიერთობა, როგორ დავამყაროთ იაპონიასთან თანამშრომლობა, თუ არ ვისწავლით კულტურათაშორისი კომინიკაციის თავისებურებებს ამ ერთან. საბჭოურ პერიოდში საქართველოს იაპონელებთან უშუალო ურთიერთობის ძალიან მცირე შესაძლებლობა ქონდა. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ გააზრებული იქნა იაპონური ენისა და კულტურის შესწავლის აუცილებლობა, მაგრამ, ჯერჯერობით ამისთვის არ არის მზაობა: მიუხედავად ინტერესისა, ნაკლებად ცნობილია ქართველ საზოგადოებაში ფონური ინფორმაცია „ამომავალი მზის“ ქვეყანაზე. არ არის ჯერ კარგად შესწავლილი ლინგვოკულტურული და სოციოლინგვისტური ასპექტები, რაც აუცილებელია წარმატებული კომუნიკაციისთვის, ნაკლებად არის მიღებული იაპონურ-ქართული და ქართულ-იაპონური თარგმნის გამოცდილება. რა თქმა უნდა, ჩამოთვლილი პრობლემები და პრაგმატიკული ხასიათის უამრავი ნიუანსი ართულებს კულტურათაშორის კომუნიკაციას.

ნებისმიერი ურთიერთობის ტექსტური და ქვეტექსტური ინფორმაციის გაგებას, ემოციური ფონის სწორ გადმოცემას, მოხსენების სტილის შენარჩუნებას, ტექსტის ფორმის მნიშვნელობის გააზრებას - არა მხოლოდ იაპონური ენის, არამედ კულტურის კარგი ცოდნა ესაჭიროება, ამიტომ ჩვენი საკვლევი თემის მესამე თავში წარმოდგენილია დიპლომატიური ტექსტების ტრანსკოდირების ლინგვოკულტურული პრობლემები,

რომელიც აღმოვაჩინეთ ოფიციალურ წერილებში, იაპონიის საელჩოს საიტზე განლაგებულ საბუთებში, პრეს-რელიზებში და სხვ. ჩვენი ანალიზის შედეგად შეიძლება გამოვყოთ არსებული პრობლემის შემდეგი მიმართულებები:

- 1) ოფიციალური წერილების ფორმის თავისებურებანი;
- 2) ეტიკეტური ფორმულების განსხვავება იაპონურ და ქართულ კულტურულ ტრადიციებში;
- 3) ეთნოკულტურული რეალიების გადმოცემის სირთლეები;
- 4) იაპონური კულტურის ფონური ინფორმაციის პრაგმატული ადაპტაცია ქართულენოვან მკითხველისთვის.

მესამე თავის პირველი ქვეთავი „**ოფიციალური წერილების ფორმის თავისებურებანი**“ აღწერს და გამოსცემს ოფიციალური წერილების ფორმას, მის თავისებურებებს და მათი თარგმნის სფეციპიკებს

დიპლომატიურ ურთიერთობის პროცესში ბევრი განსხვავებული ჟანრის დიკუმენტია ჩართული, მაგრამ ვინაიდან დიპლომატიური ურთიერთობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალებას წარმოადგენს ბევრი მათგანი საიდუმლოდ ინახება და ჩვენ წვდომა არ გვაქვს.

დიპლომატიური მიმოწერა შეიძლება იყოს ღია და დახურული, დახურული მიმოწერის მასალა არ იყო ჩვენთვის ხელმისაწვდომი. ოფიციალური წერილები განსხვავდება თემატიკით, ადრესანტისა და ადრესატის მიხედვით,

თემატური თვასაზრისით ასეთი ტიპის წერილები უფრო მრავალფეროვანი არიან: ეს შეიძლება იყოს საინფორმაციო ხასიათის წერილი, წერილი-შეტყობინება, წერილი-შემოთავაზება, ხანდახან ოფიციალურ საბუთების თანდართული წერილი ახლავს, რომელშიც გამოგზავნილი საბუთების ჩამონთვალია; თავისებური ფორმატი აქვს წერილი-უწყებას, მსგავსი სტრუქტურით ხასიათდება შემდეგი წერილები: წერილი-შეხსენება, წერილი-განცხადება, წერილი-მოთხოვნა, წერილი-პრეტენზია; განსხვავებული ფორმატი გააჩნია წერილი-რეკლამას, წერილი-შემოთავაზებას და სხვ.

ჩვენს მიერ გაანალიზებულ ემპირიულ მასალაში ძირითადად შეგხვდა სამი ტიპის წერილი:

- 1) წერილი-მოლოცვა;
- 2) საინფორმაციო წერილი;
- 3) წერილი-შემოთავაზება

დიპლომატიური თუ საქმიანი სფეროს ყველა წერილი მოიცავს, ეგრედ წოდებულ, აუცილებელ პარამეტრებს, ესენია:

- 1) კომუნიკანტების ვინაობა (წერილის ავტორი და წერილის მიმღები, ადრესატი);
- 2) კომუნიკანტების საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდების თავისებურება;
- 3) წერილის დათარიღება და დოკუმენტების ერთანი სისტემაში დაფიქსირება;
- 4) წერილში გამოყენებული ეტიკეტური ფორმულები (მისალმება, მიმართვა და სხვ.);
- 5) წერილის ძირითადი ნაწილი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას;
- 6) წერილის დასკვნა, რომელშიც ხდება აზრის დაჯამება.

ჩენ უკვე განვიხილეთ იაპონური წერილობითი სისტემის თავისებურება, ამიტომ გასაგებია, რომ იაპონური წერილების ფორმატი ჩვენთვის უჩვეულოა.

日本とジョージアの外交関係樹立三十周年という節目に当たり、心からお祝い申し上げます。

ジョージアは、日本にとって基本的価値を共有し、法の支配に基づく自由で開かれた国際秩序を構築する上で重要なパートナーです。外交関係樹立以来、日本とジョージアは、政治、経済、文化といった幅広い分野で人的交流を積み重ねており、両国の友好関係が着実に強化されていることを大変うれしく思います。

日本とジョージアには更なる関係発展の潜在力があります。本年の外交関係樹立三十周年を契機として、両国民の絆が更に深まることを期待するとともに、今後とも二国間の良好な関係を、層緊密なものにするため、閣下と連携していく考えです。

閣下の御健康と御活躍並びに貴国民の御多幸を祈念いたします。

令和四年八月三日

日本国内閣総理大臣

岸田文雄

ジョージア国首相  
イラクリ・ガリバシヴィリ 閣下

საკმარისია გავიხსენოთ წერა და კითხვა მარჯვნიდან მარცხნივ, ზემოდან ქვემოდ, ან იაპონური დამწერლობის განსხვავებული ვარიანტები. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვინტერესებდა ინფორმაციის მიწოდების თანმიმდევრობა (იხ. სურათი 1).

ამ სურათზე განლაგებულია იაპონიის პრემიერ მინისტრის კიშიდა ფუმისო წერილი, ადრესატია - საქართველოს პრემიერ მინისტრი ირაკლი

მეორეულ ტექსტში (თარგმანში) ჩვენ გხვდება წინამდებარე თანმიმდევრობა:

August 3, 2022

H.E. Mr. Irakli Garibashvili  
Prime Minister of Georgia

Your Excellency,

I would like to extend my sincere congratulations on the occasion of the 30th anniversary of the establishment of diplomatic relations between Japan and Georgia.

Sharing basic values with Japan, Georgia is an important partner of our country in developing free and open international order based on the rule of law. Ever since the establishment of diplomatic relations, Japan and Georgia have been promoting people-to-people exchange in wide areas such as political, economic and cultural ties and I am very pleased that our friendly relations are steadily developing.

Japan and Georgia have potential for further development of the relationship. Taking the opportunity of 30th anniversary of the establishment of diplomatic relations, I hope that the bonds between our peoples will become stronger and would like to cooperate with Your Excellency to further deepen the excellent relations between our countries.

I wish Your Excellency your health and every success in your endeavour as well as well-being of your people.

KISHIDA Fumio  
Prime Minister of Japan

როგორც ვხედავთ, წერილის რეკვიზიტები განლაგებულია სხვა თანმიმდევრობით, აგრეთვე ინტერესს იწვევს განსაკუთრებულად გამოკვეთილი წერილის ავტორის ხელმოწერა (წერილის ტექსტი პატარა იეროგლიფებით არის გადმოცემული, ხელმოწერა კი - დიდი და მუქი შრიფტით).

ქართული დოკუმენტების სისტემატიზაციის პრინციპი საბჭოურ პერიოდში იყო ერთიანი ყველა საბჭოური რესპუბლიკისთვის. ყველგან იყო გავრცელებული რუსული ტრადიციისთვის დამახასიათებელი შაბლონები, ტრაფარეტები, დოკუმენტების დაფიქსირების კრიტერიუმები, მათ შორის არსებობდა ოფიციალური წერილების ერთიანი ფორმა, რომელიც შეიცვალა ბოლო ათეული წლების განმავლობაში. ამჟამად

მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს საბუთების საყოველთაო უნიფიკაცია, რისი შედეგად დომინირებს ინგლისურენოვანი წერილის ფორმატი.

日本とジョージアとの外交関係樹立三十周年という節目に当たり、心からお祝い申し上げます。

これまでの三十年間、両国は自由、民主主義、人権、法の支配といった基本的価値を共有する友好国として、政治、経済、文化等の幅広い分野で交流を深めてきました。本年四月、ブリュッセルでの外相会談では、就任直後の閣下と率直な意見交換を行い、信頼関係を強化することができました。近い将来に二国間関係や国際情勢に関する意見交換を行う機会が改めて得られることを心待ちにしております。

外交関係樹立三十周年を契機とし、脱炭素社会の実現などグローバルな課題への対応や二国間経済関係の発展に向けて両国の協力を一層強化すべく、引き続き閣下と緊密に協力していく考えです。

閣下の御健康と御活躍並びに貴国民の御多幸を祈念いたします。

令和四年八月三日

日本国外務大臣

林 芳 正

ジョージア国外務大臣  
イリア・ダルチアシヴィリ 閣下

განვიხილოთ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰაიაში იოშიმასას წერილი, ადრესატი - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიშვილი). ამ წერილის ინგლისური თარგმანი:

*Unofficial Translation*

August 3, 2022

H.E. Mr. Iia Darchiashvili  
Minister of Foreign Affairs of Georgia

Your Excellency,

I would like to extend my sincere congratulations on the occasion of the 30th anniversary of the establishment of diplomatic relations between Japan and Georgia.

Over these 30 years, both countries have been developing their relations in wide areas including political, economic and cultural ties as friendly nations which share basic values such as freedom, democracy, human rights and the rule of law.

In April this year during the Foreign Ministerial talks in Brussels, I had a pleasure to hold a candid exchange of views with Your Excellency immediately after your appointment as Foreign Minister and was able to foster relationship of trust. I am looking forward to having once again an opportunity to exchange our opinions on bilateral relations and international situation in the near future.

Taking the opportunity of 30th anniversary of the establishment of diplomatic relations, I would like to continue to cooperate closely with Your Excellency to further strengthen our cooperation in tackling such global issues as realization of decarbonized society as well as developing bilateral economic relations.

I wish Your Excellency your health and every success in your endeavor and well-being of your people.

HAYASHI Yoshimasa  
Minister for Foreign Affairs of Japan

მოყვანილ სქემაზე ჩანს ინფორმაციის მიწოდების განსხვავებული თანმიმდევრობა:

ინფორმაციის თანმიმდევრობა	წყარო ტექსტში	სამიზნე ტექსტში
1	წერილის ტექსტი	თარიღი
2	თარიღი	ადრესატის სახელი და გვარი
3	ავტორის თანამდებობა	ადრესატის თანამდებობა
4	ავტორის სახელი და გვარი	მიმართვა
5	ადრესატის თანამდებობა	ტექსტი
6	ადრესატის სახელი და გვარი	ავტორის სახელი და გვარი
7	მიმართვა	ავტორის თანამდებობა

ამ ტიპის წერილების ანალიზმა გვაჩვენა, რომ დიპლომატიურ მიმოწერის ერთერთი მოთხოვნა - ლაკონურობაა. წერილი არ უნდა იყოს დიდი მოცულობის, მაგრამ მთავარი აზრი კარგად უნდა იყოს ახსნილი. ამიტომ ასეთ წერილებში ექსპლიციტური ხერხების გარდა გამოიყენება ინფორმაციის გამოხატვის იმპლიციტური საშუალებები, კლიშირებული ერთეულები, კულტურული რეალიები, კულტურული კონოტაციით დატვირთული ლექსიკა, პრეცედენტული სახელები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურდღებას მოითხოვენ თარგმნის პროცესში.

მესამე თავის მეორე ქვეთავია - **„ეტიკეტური ფორმულების განსხვავება იაპონურ და ქართულ კულტურულ ტრადიციებში“**. საქმიანი ეტიკეტისა და საქმიანი ეთიკის თავისებურებები დაფუძნებულია არა მხოლოდ ტრადიციებზე, არამედ ეროვნული ხასიათის მახასიათებლებზეც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეტიკეტს გააჩნია როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური გამოხატვის ხერხები. აღმოსავლურ კულტურებს ევროპული კულტურის განსხვავებით მისალმების ჟესტების კი სხვანაირი აქვს.



ქართული და იაპონური მიმართვები პირველ რიგში განსხვავდებიან იმით, რომ ქართულ ენაში მამაკაცთან და ქალთან მიმართვისთვის არსებობს განსხვავებული თავაზიანი ფორმები:

*ბატონო* - მივმართავთ მამაკაცს,

*ქალბატონო* - მივმართავთ ქალს.

იაპონურ კულტურაში კი სქესის გამომხატველი მიმართვები არ არსებობს, მიღებულია ერთი და იგივე ფორმა:

ან „*სან*“, ან კი - „*სამა*“:

აღნიშნული წერილების ტექსტში გამოყენებულია სწორედ ეს „ზეთავაზიანი“ მიმართვის ფორმა.

1. ოფიციალური წერილების ქართულ ვარიანტებში ავტორი მიმართავს ადრესატს კლიშირებული კონსტრუქციით, რომელშიც პირველ ადგილზეა თავაზიანი მიმართვა (*ბატონო, ქალბატონ*), შემდეგ ოფიციალური პირის თანამდებობა, სახელი და გვარი. იაპონური კლიშირებული ფრაზა აგებულია სხვანაირად - ჯერ თავაზიანი ფორმა, გვარი და ბოლოს თანამდებობა (იხ. სურ. 1 და ცხრილი 2).

2. იაპონური კულტურის კიდეც ერთ საინტერესო ნიშანთვისებას ვაწყდებით გაანალიზებულ ემპირიულ მასალაში: ზეპირი მეტყველების დროს (კონფერენციებზე, ოფიციალურ შეხვედრებზე, ღონისძიებებზე) მიმართვებში იაპონელები იყენებენ თავაზიან ფორმას „*სან*“ და ადრესატის გვარს, ან მიმართვას „*სან*“ გვარს და თანამდებობას, და არ იყენებენ სახელებს, რაც ქართული კულტურისთვის არის დამახასიათებელი.

მესამე თავის მესამე ქვეთავია - „**ეთნოკულტურული რეალიების გადმოცემის სირთულეები**“. იაპონური კულტურა წარმოადგენს უნიკალურ ეთნოკულტურულ ფენომენს, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა თავისებური ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ეტიკეტური ფორმები, ზეპირი ხალხური სიტყვიერება, ეროვნული მენტალიტეტი. და ეს ყველაფერი პოულობდა მის გამოხატვას ენაში, იქმნებოდა სამყაროს

ენობრივი და კულტურული სურათი, რომლის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნოკულტურულ რეალიებს უკავია.

თარგმანმცოდნეობაში ეთნოკულტურული რეალიები ეგრეთ წოდებულ „უთარგმნელ“ ლექსიკას მიეკუთვნება, რადგანაც მათ ან საერთოდ არ გააჩნიათ შესატყვისი სხვა ენებში (ამ შემთხვევაში რეალია-ლაკუნებთან გვაქვს საქმე), ან მსგავსი მაგრამ მაინც განსხვავებული საგანს/მოვლენას აღნიშნავენ.

აქედან გამომდინარე, კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში მთარგმნელს მოეთხოვება როგორც წყარო ისე სამიზნე ენებისა და კულტურების კარგი ცოდნა, ორივე კომუნიკანტის ფონური მარაგის შედარება პრაგმატული ადაპტაციის მიზნით.

კულტურული რეალიების დიდი ნაწილი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარსულს გამოხატავს,

რეალიების უამრავი კლასიფიკაცია არსებობს, რომლის შედეგი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა პრინციპით არის აგებული. ბულგარელი მთარგმნელები ვლახოვი და ფლორინი ყოფენ რეალიებს მათ გავრცელების არეალის მიხედვით:

- 1) ინტერნაციონალიზმები;
- 2) რეგიონალური რეალიები;
- 3) ეთნოკულტურული რეალიები (Влахов, Флорин, 2009:12).

რეალიების ეს ნაირსახეობა მთარგმნელობით ჭრილში განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს: ინტერნაციონალიზმები ბევრ ენაში მსგავსი ფორმით ფუნქციონირებენ. პოლიტიკურ დისკურსში, და კერძოდ, დიპლომატიის სფეროში მათი გამოყენება საკმაოდ ხშირია. ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სტატიამ ჩვენ ვაანალიზებთ შემდეგ მაგალითებს:

ჩვენს მიერ გაანალიზებული ინტერნაციონალური წარმომადგენლობა წინამდებარე ცხრილში.

*საგარეო საქმეთა სამინისტრო, საელჩო, საკონსულო,  
მინისტრი, ელჩი, კონსული, პრეს-რელიზი და სხვ.*

	იაპონური (წყარო ენა)	ინგლისური (სამიზნე ენა)	ქართული (სამიზნე ენა)
სახელმწიფო სტრუქტურა	外務省,	Ministry of Foreign Affairs,	საგარეო საქმეთა სამინისტრო,
	大使館	Embassy	საელჩო
	領事館	Consulate	საკონსულო
თანამდებობა	大臣,	Minister	მინისტრი
	大使,	Ambassador	ელჩი
	副首相	Vice Premier	ვიცე პრემიერი
	領事	Consul	კონსული
ტოპონიმები	コーカサス,	Caucasus	კავკასია
	黒海	Black sea	შავი ზღვა
	ヨーロッパ	Europe	ევროპა
ოფიციალური საბუთები	プレスリリース	Press release	პრეს-რელიზი
	覚書	Memorandum	მემორანდუმი
	外交儀礼	Diplomatic protocol	დიპლომატიური პროტოკოლი
	外交ノート	Diplomatic note	დიპლომატიური ნოტა

რეგიონალური რეალიები დიპლომატიურ მიმოწერაში თითქმის არ გხვდება. ჩვენი აზრით ეს გარემოება აიხსნება იმ ფაქტორით, რომ ოფიციალურ მიმოწერაში უფრო ხშირად საყოველთაო პრობლემები განიხილება და არა ცალკეული რეგიონის. წყარო ენის ეთნოკულტურული რეალიები რთულად ითარგმნება, ვინაიდან სამიზნე კულტურაში ან არ არსებობს შესაბამისი მოვლენა, ამ შემთხვევაში საუბარია რეალია-ლაკუნებზე, ან მსგავსი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის რეალიებია.

ანალიზის შედეგად გამოყავით რეალიების შემდეგი ჯგუფები:

1. საზოგადოებრივი ხასიათის რეალიები, რომლებიც აღნიშნავენ სახელმწიფოებრივი წყობის სტრუქტურას და ერთეულებს, მართვის ორგანოებს, აქვე გამოვყავით ძალოვანი სტრუქტურების აღმნიშვნელი რეალიები;
2. კონკრეტული გეოგრაფიული არეალისთვის დამახასიათებელი რეალიები, რომლებიც აღნიშნავენ ფლორას, ფაუნას, რელიეფს, ლანშაფტს და სხვა ობიექტებს;
3. ყველაზე რთულად გადასათარგმნი რეალიები - ეთნოგრაფიული, რომლებიც ასახავენ კონკრეტული ერის ყოფას; ნებისმიერ საქმიანობას; ხელოვნების ნიმუშებს, ეროვნულ ტანსაცმელს და სხვ.

იაპონურ წერილებში გამოყენებული რეალია-ლაკუნები:

*相撲* • *Sumo* • *სუმო*

*平成* • *Heisei* • *ჰეისეი*

*歌舞伎* • *Kabuki* • *კაბუკი*,

განვიხილოთ უშუალოდ კონტექსტში

„პირველი ქართველი *სუმოისტო*, რომელიც ოძეკის რანგში დაწინაურდა“.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ka/tochinoshin\\_ozeki\\_geo20180530.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ka/tochinoshin_ozeki_geo20180530.html)

ジョージア出身 *力士*として初の大関昇進

[https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ja/tochinoshin\\_ozeki\\_jpn20180530.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ja/tochinoshin_ozeki_jpn20180530.html)

ოფიციალურ პრესაში რეალიები უფრო ხშირად გხვდება:

4 ივნისს, იაპონიის საელჩოს ორგანიზებით, საოკუპაციო ხაზთან არსებულ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიქოზში ჩატარდა *კიოგენის წარმოდგენა* და მასტერკლასი. ღონისძიებას გაუძღვნენ საგანგებოდ მოწვეული შემსრულებლები - მსახიობი იუ კომაკი და ტომიკო ონერი (ჩაის ცერემონიის ოსტატის სახელი SOHO).

([https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ja/11\\_000001\\_00889.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ja/11_000001_00889.html))

რეალიების ასახსნელად უდიდესი ძალისხმევაა საჭირო, რადგანაც მთარგმნელმა უნდა შეინარჩუნოს რეალია, როგორც წყარო კულტურის მახასიათებელი და ისე გადაიტანოს სამიზნე ტექსტში, რომ გასაგები იყოს მკითხველისთვის. ეს მოითხოვს ეფექტური სტრატეგიების არჩევას.

ჩვენს მიერ გაანალიზებულ მასალაში რეალიებს ახსნა-განმარტება არ ახლავს, ისინი გადმოტანილია სამიზნე ტექსტში მხოლოდ ტრანსკრიპციის/ტრანსლიტერაციის მეშვეობით,

იაპონური რეალიების განმარტება ხანდახან ჩაქსოვილია ოფიციალურ პრესაში, ან ეთნოკულტურული ხასიათის ტექსტებში:

*კაბუკი, სეპუკუ* ანუ ჩვენთვის ცნობილი სიტყვა *ჰარაკირი ეწოდება*.

ჩვენი აზრით ამ სტრატეგიების გამოყენება დიპლომატიურ დისკურსში აიხსნება იმ გარემოებით, რომ ოფიციალური მიმოწერა მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოსნების შორის ხორციელდება, რომლებსაც ევალება მათი პარტნიორების შესახებ ექსტრალინგვისტური ხასიათის ინფორმაციის ფლობა. ასევე, ამ ოფიციალურ პირებს ყავთ თანაშემწეები, რომლებიც ფლობენ პარტნიორი ქვეყნის ენასაც და კულტურას.

მესამე თავის მეოთხე ქვეთავში - „**იაპონური კულტურის ფონური ინფორმაციის პრაგმატული ადაპტაცია ქართულენოვან მკითხველისთვის**“ - აღწერილია ლინგვოეთნიკური ბარიერის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც მოითხოვენ პრაგმატულ ადაპტაციას ქართულ აუდიტორიისთვის, რათა კულტურათშორისი დიალოგი იყოს წარმატებული.

კომუნიკაციის თეორიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინასაინფორმაციო მარაგს, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ კომუნიკანტებს არ გააჩნია ამ ინფორმაციის მსგავსი მარაგი, მათი ურთიერთობა არ იქნება წარმატებული. კულტურის რეალიების აღქმა შეუძლებელია სამიზნე კულტურის წარმომადგენლების მიერ, ვინაიდან მათ სხვა ფონური ინფორმაცია გააჩნიათ. ამ შემთხვევაში მთარგმნელები იყენებენ პრაგმატულ ადაპტაციას, რომელიც გამოიხატება გარკვეული იმპლიციტური ინფორმაციის ექსპლიციტებაში, რათა გასაგები გახდეს ახალი მკითხველისთვის.

ფონური ინფორმაცია მრავალფეროვანია და მოიცავს ყველა ჩვენ გაანალიზებური გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, რომელიც მოითხოვდა პრაგმატულ ადაპტაციას ქართულენოვან აუდიტორიისთვის:

- 1) ქრონოლოგიზაციის თავისებური სისტემა;
- 2) მეტაფორების გადმოტანა სამიზნე ტექსტში;

3) ზედმეტ სახელების კონოტაციები;

იაპონიაში ბევრი რამ არის თავისებური, მათ შორის წელთაღრისხვა. ქრისტიანულ სამყაროში (მათ შორის საქართველოშიც) წელთაღრისცხვის საწყის ეტაპად ქრისტეს შობა არის აღიარებული. იაპონიაში ადრე გამოიყენებოდა მთვარისა და მზის კალენდარი, რომელიც ტრადიციულია აზიურ ქვეყნებისთვის და ჩინურ კალენდარს ეფუძვნებოდა. თანამედროვე იაპონიაში ეს ასტროლოგიური კალენდარი გამოიყენება იშვიათად საზეიმო სიტუაციებში კულტურული მიზნებისთვის. ჩვეულებრივ ცხოვრებაში დღევანდელ იაპონიაში იყენებენ განსაკუთრებულ ქრონოლოგიურ სისტემას, რომელიც აგებულია იმპერატორის მართვის წლებზე იმპერატორის მეფობის დაწყებიდან

მაგალითად: 2012 წელი - ჰეისეის 24-ე წელია (ჰეისეი - იმპერატორია).

საბალეტო ხელოვნების გამოჩენილი ქართველი ლიდერი, მთელ მსოფლიოში ცნობილი ნინო ანანიაშვილი იყო დაჯილდოებული იაპონიის იმპერატორის ორდენით და პრესაში დაბეჭდილი პრეს-რელისში იყო აღნიშნული თარიღი:

**წყარო ტექსტში:**

**4月29日**、日本政府は**平成29年春の叙勲の受章者**を発表し、ジョージアからはニノ・アナニアシヴィリ国立オペラ・バレエ劇場バレエ芸術監督が旭日中綬章を受章することとなりました。

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili\\_order/ananiashvili\\_pressrelease\\_jpn\\_web.pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_jpn_web.pdf)

**ქართულ თარგმანში:**

**ა.წ. 29 აპრილს** იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა იაპონიის იმპერატორის ჯილდოს ლაურეატები **2017 წლის** გაზაფხულისათვის. საქართველოდან, ქალბატონი ნინო ანანიაშვილი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, დაჯილდოვდება ლენტით დამშვენებული ამომავალი მზისა და ოქროს სხივების ორდენით.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili\\_order/ananiashvili\\_pressrelease\\_geo\\_web.pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_geo_web.pdf)

ანუ ამ შემთხვევაში მთარგმნელმა გამოიყენა პრაგმატული ადაპტაცია, არ გადატვირთა საბუთის შინაარსი (ვინაიდან პრეს-რელიზი მოკლე და ლაკონური უნდა

იყოს) იაპონური დათარიღების ეროვნული თავისებურების ახსნით და პირდაპირ გადაიყვანა ქართველი მკითხველისთვის მიჩვეულ სისტემაში. ამიტომ, ჩვენი აზრით ასეთ ჩანაცვლება გამართლებულია, მაგრამ ზოგჯერ იკარქება ორიგინალის ეროვნული კოლორით.

ასე მაგალითად, იაპონურ პრეს-პელისში განცხადებულია, რომ:



平成29年5月1日

#### ニノ・アナニアシヴィリ氏の旭日中綬章受章

4月29日、日本政府は平成29年春の叙勲の受章者を発表し、ジョージアからはニノ・アナニアシヴィリ国立オペラ・バレエ劇場バレエ芸術監督が旭日中綬章を受章することとなりました。

アナニアシヴィリ氏は、長期にわたる様々な日本関連の活動を通じて日本とジョージア間の文化交流促進と日本のバレエ界の発展に著しい貢献をしたことが評価され、今回の受章となりました。

მთარგმნელის ეს გადაწყვეტილება გამართლებულია, მაგრამ ზოგჯერ იკარგება ორიგინალის ეროვნული კოლორიტი.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili\\_order/ananiashvili\\_pressrelease\\_jpn\\_web..pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_jpn_web..pdf)

რაც სიტყვა სიტყვით ითარგმნება შემდეგნაირად:

*ანანიაშვილმა მიიღო ამომავალი მზის ორდენი ლენტი.*

ამავე პრეს-რელიზის ქართულად თარგმნილ ვარიანტში ვკითხულობთ:

*იაპონიის იმპერატორის ჯილდო ქალბატონ ნინო ანანიაშვილს.*

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili\\_order/ananiashvili\\_pressrelease\\_geo\\_web.pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_geo_web.pdf)





იაპონურ ტექსტში წერია რომ: „საქართველოს მიწაზე საკუთარი ფეხით გადმოვაბიჯე“ ([https://www.mofa.go.jp/mofaj/p\\_pd/ip/page4\\_004317.html](https://www.mofa.go.jp/mofaj/p_pd/ip/page4_004317.html))

ხოლო ქართულ ტექსტში წერია „ვესტუმრე„ (<https://www.mofa.go.jp/files/000395975.pdf>)

სახეზეა მეტაფორის გამოტოვება და მაღალი სტილის დადაბლება.

ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელი არ გამოტოვებს მეტაფორას, მაგრამ ქართულ და იაპონურ კულტურულ ტრადიციაში ამ მეტაფორებს არაიდენტური მნიშვნელობა აქვს.

心のとち

ღრმა კავშირის მქონე ადამიანთან, ვისაც ესმის და მიგიღებს, შეგიძლიათ იცხოვროთ მდიდარი და სრულფასოვანი ცხოვრებით.

მეგობრობით მეტაფორული აღქმა განსხვავდება ამ კულტურებში.

ეს შესანიშნავი ტერმინი გამოყენებულია ერთ ერთ სასაფლაოს ქვაზე რომელიც მდებარეობს იაპონიაში.

ეს არის იაპონიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსის გია ხეოშვილის მემორიალი, რომელიც 2012 წელს გარდაიცვალა.



<https://news.yahoo.co.jp/expert/articles/448a3d025416929c0b207fe764a2edfff956ca8>

სიტყვა „გულის მეგობარს“ დიდი ისტორია აქვს და გვხვდება ძველ იაპონურ პოეზიასა და ლიტერატურაში. ჯერ კიდევ უძველეს დროში ადამიანებმა იცოდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გულში მეგობრებთან ურთიერთობის გრძნობა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სიტყვა "გულის მეგობარი" მკაფიო წარმომავლობა, იგი გამოიყენებოდა "გულის კავშირის" და მეგობრობის მნიშვნელობის გამოხატვისთვის, რომელიც არსებობდა უძველესი დროიდან იაპონიაში.

განსაკუთრებით ბუდისტურ სწავლებებში, იაპონურ პოეზიაში და ლიტერატურაში, ცნება „სულის მეგობრები“ დიდი პატივისცემით სარგებლობდა და ფართოდ უყვარდათ. ეს სიტყვა შეიცავს იმედს, რომ ადამიანები ყოველთვის იგრძნობენ, რომ მათ გულში ძვირფასი მეგობარი ჰყავთ.

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი. როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირის თანამონაწილე ქვეყანა იყო იაპონურ ოფიციალურ სტრუქტურებთან უშუალო კონტაქტი არ გვქონდა, იაპონურ ტექსტებში



ოფიციალურ საბუთებში, ჩვენ ქვეყანას უწოდებდნენ გრუზია (გრუჯია – გურჯია). ამის 2009 წელს მე ვიმყოფებოდი იაპონიაში ქალაქ ტოკიოში, მიწვეული ვიყავი გაზეთის

გამომცემლობა იომიურიშინზუნში. შემდეგ დაიბეჭდა სტატია, სადაც მითითებულია ჩემი სამშობლო ქვეყანა - გრუზია (გრუჯია – グルジア).

მაგრამ გლობალური ვითარებიდან გამომდინარე და საქართველოსადმი პატივისცემისა და თანადგომის ნიშნად 2014 წელს ყველა ოფიციალურ საბუთში იაპონიამ ცვლილებები შეიტანა ჩვენი ქვეყნის სახელწოდებაში, საქართველოს “გრუზიას” ნაცვლად “ჯორჯია” ეწოდა (The Japan Times 2014:3).

(<https://www.japantimes.co.jp/news/2014/10/22/national/japan-use-english-name-georgiarussian/#:~:text=The%20government%20has%20decided%20to,Russian%20language%2C%20an%20official%20said>. წვდომის თარიღი: 01.07.2024).

თემატური თვალსაზრისით გამოვყავით იაპონიის ელჩის რამდენიმე წერილი, რომელშიც ის ულოცავს ქართველ სპორტსმენებს მიღწეულ წარმატებებს. წერილების ადრესატია - საქართველოს პრემიერ მინისტრი. რაც შეეხება სპორტსმენებს, ავტორი არ იყენებს სახელ და გვარს, როგორც საქართველოში მიღებულია, არამედ მიმართავს მათ ზედმეტსახელებით, რომლებსაც იაპონურ კულტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება:

*ტოჩინოშინი, კოკაი და სხვ,*

([https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ja/tochinoshin\\_ozeki\\_jpn20180530.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ja/tochinoshin_ozeki_jpn20180530.html)  
[https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ka/tochinoshin\\_ozeki\\_geo20180530.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ka/tochinoshin_ozeki_geo20180530.html))

ჩვენ სტატიაში გვაქვს გაანალიზებული ამ სახელების კულტურული კონოტაცია (ბოლქვაძე, აროშიძე, 2024, 7/1: 299-313). საქმე იმაშია, რომ სუმო - იაპონელების ეროვნული სპორტია, და მათ ფედერაციაში ყველა ცნობილი სუმოისტი ღებულობს ზედმეტ სახელს, რომელსაც დიდი სემანტიკური და ემოციური დატვირთვა აქვს.

„ტოჩინოშინი“ არის ცნობილი ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე, 2018 წლის იაპონიის იმპერატორის თასის მფლობელი. მისი ზედმეტი სახელის აღქმისთვის ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ იაპონიაში ყველა პროფესიონალ სუმოისტს **ზედმეტ სახელს (შიკონა)** არქმევენ, რომელსაც დიდი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. სახელის პირველი ნახევარი წარმოადგენს სკოლას, რომელშიც სპორტსმენმა გაიზარდა როგორც პროფესიონალი, მეორე ნაწილი კი ეძლევა მისი მიღწევების დაფასების ნიშნად.

„კოკაი“ - სრული სახელი „კოკაი ფუტოში“ *Kokkai Futoshi*

ლევან ცაგურია, სახელად კოკაი (სრული ვარიანტი კოკაი ფუტოში) პირველი ევროპელია, რომელმაც ჯურიოში დივიზიონში, პროფესიონალი სუმოისტის სტატუსს მიაღწია. ტრადიციულ აღმოსავლურ ბრძოლაში, იაპონელებმა მას შეარქვეს კოკაი, რაც იაპონურად „შავ ზღვას“ ნიშნავს, ვინაიდან სპორტსმენი სოხუმიდან არის წარმოშვებით.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan\\_fact\\_sheet/Sumo.pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Sumo.pdf)

[https://www.sumo.or.jp/IrohaKnowledge/sumo\\_history/](https://www.sumo.or.jp/IrohaKnowledge/sumo_history/)

მაშასადამე, ჩვენი ნაშრომის ამ თავში გაანალიზებული მაგალითები მეტყველებენ ენისა და კულტურის მჭიდრო ურთიერთკავშირზე და ფონური ცოდნის გააზრების აუცილებლობაზე წარმატებული კომუნიკაციის პროცესში.

### **ზოგადი დასკვნები**

ჩატარებული კვლევის შედეგად ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე.

დიპლომატიური დისკურსი ურთულესი სახეობაა კულტურათშორისი კომუნიკაციის, რომლის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან საქართველო აქტიურად ამყარებს ურთიერთკავშირებს აზიისა და ევროპის ქვეყნებთან. მსგავსი კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ამ სფეროს სპეციალისტების პროფესიულ ზრდას.

ნებისმიერი ორი ქვეყნის ურთიერთკავშირი იწყება დიალოგით, წარმატებული კულტურათაშორისი კომუნიკაცია კი მოითხოვს ფართო ინფორმაციის გააზრებას. იაპონურ-ქართულ დიპლომატიური ურთიერთობების წყვეტილმა განვითარებამ (ოსმალური იმპერია, ცარისტული რუსეთი, საბჭოთა კავშირი) და იაპონიისა და საქართველოს შორის არსებული გეოგრაფიულმა სიშორემ და მრავალი სხვა ფაქტორმა გამოიწვია ინფორმაციის სიმცირე ორივე მხრიდან. შესაბამისად მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის მთავარი სოციო-კულტურული კომპონენტების გამოკვეთა, გაანალიზება, შედარება-შეპირისპირება, რაც ხელს შეუწყობს საქმიანი დიალოგის გამართვას.

დისკურსი არის ტექსტი ტექსტები), ჩამირული გარკვეულ სოციოკულტურულ სიტუაციაში. დიპლომატიური დისკურსი - განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც მიეკუთვნება ინსტიტუციონალურ დისკურსს და დაკავშირებულია პოლიტიკურ დისკურსთან.

იაპონიის მთავრობამ მოახერხა კულტურული, ფილოსოფიური და მხატვრული ტრადიციების გააქტიურება, რომლებიც ხელი შეუწვევს ახალი დიპლომატიური ურთიერთობების დამკვიდრებას. ამ სტრატეგიამ გაამართლა და 21-ე საუკუნეში იაპონიამ მსოფლიო საზოგადოებაში მაღალგანვითარებული ქვეყნის იმიჯი შეიძინა, მძლავრი ტექნოლოგიებით და ორიგინალური ეროვნული კულტურით.

იაპონური კულტურა აზიური კულტურის ერთერთი თავისებური სამყაროა, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორ ეტიკეტს, ქცევის კულტურას, მას ახასიათებს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე. იაპონური და ქართული დიპლომატიური დისკურსის ტექსტების შესწავლამ იაპონურ, ქართლ და ინგლისურ ენებზე გამოავლინა ტრანსკოდირების შემდეგი თავისებურებანი:

- 1) ოფიციალური წერილების ფორმის თავისებურებანი;
- 2) ეტიკეტური ფორმულების განსხვავება იაპონურ და ქართულ კულტურულ ტრადიციებში;
- 3) ეთნოკულტურული რეალიების გადმოცემის სირთლეები;
- 4) იაპონური კულტურის ფონური ინფორმაციის პრაგმატული ადაპტაცია ქართულენოვან მკითხველისთვის.

კულტურული რეალიების ლინგვოკულტურული, სოციოლინგვისტური და პრაგმატული ასპექტების ანალიზმა ცხადყო, რომ ისინი ორ ჯგუფად იყოფა: საყოველთაოთ ცნობილი ტერმინები და რეალიები (დაწესებულებები, თანამდებობები, ტოპონიმები და სხვ.) და ეთნოკულტურული რეალიები.

იაპონურ-ქართული მიმოწერის ანალიზმა აღმოაჩინა იაპონური კულტურის სპეციფიკა შემდეგ კონკრეტულ საკითხებში: ოფიციალური წერილების განსაკუთრებული ფორმატი; ეტიკეტური მიმართვების განსხვავებული პრინცილი (ქართული მიმართვების გებდერული ფორმები და იაპონური მიმართვების ორიენტირება კომუნიკანტის სტატუსზე); ეთნოკულტურული რეალიების მრავალფეროვნება და მათი პრაგმატული ადაპტაციის ხერხები. ამ განსხვავებების

გათვალისწინება, უეჭველად, გააუმჯობესებს ურთიერთგაგებას და აამაღლებს კულტურათაშორისი კომუნიკაციის ეფექტურობას.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა და გაჟღერებული იქნა შემდეგ პუბლიკაციებში და კონფერენციებზე:**

1. 2020 წლის მაისი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, ტომი III, გვ. 145-150; გამოქვეყნებული ნაშრომი „ენა როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ინსტრუმენტი დიპლომატიურ დისკურსში და მისი თარგმანის თავისებურებანი“. ISSN 2587-490X (E-ISSN 2720-8168).

<https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/2762/3237>

2. 2024 წლის მაისი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, ტომი VII, გვ. 299-314; გამოქვეყნებული ნაშრომი „იაპონური და ქართული კულტურის გზაჯვარედინზე (დიპლომატიური მიმოწერის თარგმნის პრობლემები), თანაავტორი მარინე არშიძე; ISSN 2587-490X (E-ISSN 2720-8168).

<https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/7822/7770> ;

3. 2022 წლის მარტი - ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის იჯევანის ფილიალი, სამეცნიერო კონფერენცია „სოციალური და პედაგოგიური ინოვაციები განათლებაში“, გამოქვეყნებული ნაშრომი „იაპონური ენის სწავლების თავისებურებები საქართველოში, სირთულეები და მათი დაძლევის სტრატეგიები“, გვ. 78-81, ISBN:978-9939-1-1442-2

<http://ijevanlib.y-su.am/wp-content/uploads/2022/09/%D5%80%D5%B8%D5%A4%D5%BE%D5%A1%D5%AE%D5%B6%D5%A5%D6%80%D5%AB-%D5%AA%D5%B8%D5%B2%D5%B8%D5%BE%D5%A1%D5%AE%D5%B8%D6%82-7.pdf>

4. 2023 წლის აპრილი- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები - I (კონფერენცია ეძღვნება

პროფესორ დავით გოცირიძის 70-წლისთავს). წარმოდგენილი ნაშრომი: „ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობები „ გვ. 274-279, ISBN 978-9941-8-7011-8

[http://science.org.ge/wp-](http://science.org.ge/wp-content/uploads/2024/09/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_2023.pdf)

[content/uploads/2024/09/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90\\_2023.pdf](http://science.org.ge/wp-content/uploads/2024/09/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_2023.pdf)

5. 2021 წლის მაისი - საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია „კულტურათაშორისი კომუნიკაცია და ეროვნული კულტურა, ეროვნული საკვები როგორც ქვეყნის იმიჯის შექმნის საშუალება“. წარმოდგენილი ნაშრომი „იაპონური სამზარეულოს ლაკუნები კულტურათაშორის კომუნიკაციაში“; გვ. 371-376, ISBN 978-9941-33-077-3

<https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/378647/1/KulturatshorisiKomunikaciaDaErovnuLiKultura.pdf>

6. 2024 წელი 18-20 ოქტომბერი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები - II თემა: „ კულტურული მემსიერება იაპონურ ქართულ ურთიერთობებში “. (იბეჭდება).